საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

27-01-4-202511041632 04/11/2025

N 01-01-24/27

დადგენილება

შპს „რუმი“-ზე დაკისრებული ჯარიმის გასამმაგების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2021 წლის 3 დეკემბრის №01-01-3/605 ბრძანების საფუძველზე, ქალაქ ბათუმში, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩა №25-ში მდებარე სასტუმროს შენობაში განთავსებულ სამგზავრო ლიფტზე (რეგისტრაციის ნომერი: ა-01545) 2025 წლის 5 სექტემბერს ჩატარებული შემოწმებისას გამოვლენილ დარღვევებზე შედგენილი №25.027.2.1 ტექნიკური ინსპექტირებისა და 2025 წლის 5 სექტემბერს №25.148.2 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2025 წლის 11 სექტემბრის №01-01-24/26 დადგენილებით დაკისრებული ჯარიმის დადგენილ ვადაში გადახდის მოთხოვნა შპს „რუმი“-ს მიერ არ არის შესრულებული, რაც წარმოადგენს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-19 მუხლის მე-10 ნაწილით (დადგენილ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობა იწვევს დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას) განსაზღვრული მოთხოვნის დარღვევას, რის გამოც გამოყენებული უნდა იქნას ამავე ნორმით გათვალისწინებული ჯარიმა და მფლობელი დაჯარიმდეს ზემოთ მითითებული დადგენილებით განსაზღვრული ჯარიმის (500 ლარი) სამმაგი ოდენობით, რაც შეადგენს 1500 ლარს. დამრღვევს ჯარიმის გადასახდელად უნდა განესაზღვროს გონივრული ვადა, კერძოდ ჯარიმა დამრღვევმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი სამინისტროს უნდა წარუდგინოს მისი გადახდიდან 5 დღის ვადაში. ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული ფორმითაც (განცხადება და გადახდის შესაბამისი საბანკო ქვითარი შეიძლება გამოიგზავნოს სამინისტროს ოფიციალურ ელ. ფოსტაზე public@mofea.ge).

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-19 მუხლის მე-10 ნაწილის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეებისათვის რიგი უფლებამოსილებების მინიჭების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2017 წლის 10 მაისის №01-6/62 ბრძანების საფუძველზე,

ვ ა დ გ ე ნ :

1. შპს „რუმი“ (ს/ნ 445481853) დაჯარიმდეს 1500 (ათას ხუთასი) ლარით.

2. საჯარიმო თანხა გადახდილი იქნას შპს „რუმი“-სათვის დადგენილების ჩაბარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, სახაზინო კოდზე: 300923260, ხოლო ჯარიმის გადახდის შესაბამისი მტკიცებულება წარმოდგენილი იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში გადახდიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, ქვითრის წარმოდგენა შესაძლებელია ასევე ელექტრონული ფორმითაც - ელ. ფოსტაზე public@mofea.ge.

3. შპს „რუმი“-ს ეცნობოს, რომ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში დადგენილება მიექცევა იძულებით აღსასრულებლად.

4. ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს ამ დადგენილების შესაბამისი პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.

5. წინამდებარე დადგენილების გასაჩივრება შეიძლება დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა №30).

6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

თემურ ახვლედიანი

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე
სივრცითი მოწყობისა და ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტი

https://edocument.ge/AdjaraGov/public27-01-4-202511041632

ელექტრონული ხელმოწერა/ბეჭდვა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE